ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №7
2021 წლის 21 აპრილი

ქ. ცაგერი

,,ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 7 მარტის №38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

,,ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 7 მარტის №38 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge 14/03/2018. სარეგისტრაციო კოდი: 010260020.35.116.016423) შევიდეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის ,,ც“ ქვეპუნქტი:

,,ც) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში, როდესაც აუცილებელია, საფრთხის თავიდან აცილება ბენეფიციართა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სოციალურ მომსახურეობებში ჩართვას და ამის შესახებ შესაბამისი ორგანოსთვის დაუყონებლივ შეტყობინებას: ოჯახში ძალადობის ფაქტის იდენტიფიცირებას და და მასზე შესაბამის რეაგირებას“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ცაგერის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი გუგავა**